ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერია

საქართველო, ქ. გორი 1400, სტალინის გამზ. №16; ს/კ 218083767; ტელ: 0 (370) 27 73 88

№1099

11 04 2016 წ.

ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ ილია მეტრეველს

ბატონო ილია,

ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია თქვენი წერილი (მერიის რეგისტრაცია: N661 18.03.2016) რომლიც ეხება შტატგარეშე მოსამსახურის ხელშეკრულებით აყვანის საკითხს.

გაცნობებთ, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 156-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად „მუნიციპალიტეტის შტატგარეშე მოსამსახურეთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს გამგეობის/მერიის და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო რაოდენობის 10 პროცენტს. „

ქ. გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 05 იანვრის N 2 და 2015 წლის 09 იანვრის N7 განკარგულებებით დამტკიცებული საშტატო ნუსხების შესაბამისად მერიის საშტატო ერთეულის რაოდენობაა 111, ხოლო საკრებულოს აპარატის საშტატო ერთეულის რაოდენობა 14, შესაბამისად მუნიციპალიტეტში არის 125 საშტატო ერთეული, რომლის 10% შეადგენს 12.5-ს. აღნიშნულიდან გამომდინარე ქალაქ გორის მუნიციპალიტეტში შტატგარეშე მოსამსახურის მაქსიმალური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 13-ს, აქედან საკრებულოს აპარატის შტატგარეშე მოსამსახურეთა რაოდენობა განსაზღვრულია 3-ის ოდენობით.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ 2016 წლის 18 მარტს ირაკლი ოქრუაშვილთან თქვენს მიერ დადებული ხელშეკრულების შედეგად , საკრებულოს შტატგარეშე მოსამსახურეთა რაოდენობა არის 3-ზე მეტი, რაც სცილდება თვითმმართველობის კოდექსით დაშვებულ შტატგარეშე მოსამსახურეთა რაოდენობას.

ქ.გორის მუნიციპალიტეტის მერი ზურაბ ჯირკველიშვილი